

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

7 სექტემბერი 2013წ.

სხდომის ოქმი №4/2013

სხდომას ეწვრიებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე
2. პროფესორი კახი ყურაშვილი
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე
4. ასოც. პროფესორი მაკა კაჭარავა
5. ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე
6. პროფესორი თამარ ჩიტოშვილი
7. პროფესორი ტატიანა ზუბიაშვილი;
8. პროფესორი მანანა პაიჭაძე;
9. პროფესორი მადონა გელაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თპუ დებულების მოდიფიცირების შესახებ (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი);

მოისმინეს:

პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ 2013 წლის 6 სექტემბერს გამოქვეყნდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თოზაზე საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც, აუცილებელია შევიდეს ცვლილებები თპუ დებულების შესაბამის მუხლებში. მომხსენებელმა ისაუბრა კონკრეტულ მუხლებზე და პროექტის სახით (დანართი №1) წარმოადგინა მოდიფიცირებული თპუ დებულება, სადაც აისახა აკადემიური პერსონალის მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრის ახალი წესი. შესაბამისად, ამ საკითხის დასარეგულირებლად გაუქმდება „პერსონალის მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების განსაზღვრის წესი“, რომელიც დამტკიცებულია 2012 წლის 21 აპრილის № 55/01 რექტორის ბრძანებით.

კ. ყურაშვილმა აუდიტორიას სთხოვა, რომ მხარი დაუჭიროს მის წინადადებას და მოდიფიცირებული თპუ დებულება დასამტკიცებლად წარუდგინონ წარმომადგენლობით საბჭოს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. თ. ჩიტოშვილმა

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს თპუ დებულების პროექტი დანართი 1-ის სახით;
2. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

ვ. საყვარელიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი:

კ. ყურაშვილი

